ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის – მოიპოვებს თავისუფლებას!

# თავისუფლება

№ 17

საქართველოს დემოკრატიული პარტიის არაპერიოდული გაზეთი 14 ნოემბერი 1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების ერთობლივი კომუნიკე

ჩვენ, საქართველოს ეროვნულ–პოლიტიკური ორგანიზაციები: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, წმინდა იღია მართლის საზოგაოება, საქართველოს ეროვნულ–დემოკრატიული პარტია, საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, საქართველოს მონარქისტული პარტია, საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტია, ქრისტიან–დემოკრატთა ახალგაზრდული ასოციაცია ვაცხადებთ, რომ: ამიერიდან ვიწყებთ ერთიან ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული ხსნისა და აღორძინებისათვის.

მერაბ კოსტავას ნათელი სული მოგვიწოდებს გაერთიანებისაკენ, რამეთუ მისი ოცნება იყო საქართველოს ყველა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია და ერთობლივი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. აღსრულდა მისი ოცნება, დე იყოს ნება მისი!

ჩვენს შორის მიღწეულია პოზიციათა შეთანხმება საჭირბოროტო ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებით, რამეთუ ჩვენს პროგრამებსა დაპოლიტიკურ შეხედულებებს შორის ნიუანსური განსხვავებანი არ გვაძლევს დაქსაქსული, სეპარატისტული მოქმედების საფუძველს, მით უმეტეს, რომ ჩვენი მიზანი ერთია – საქართველოს დამოუკიდებლობა. ამიერიდან ჩვენ ურთიერთთან შეთანხმებით ტაქტიკურ და სტრატეგიულ საკითხებს. აქციებს დავეგმავთ და განვახორციელებთ ერთობლივად და ვიმოქმედებთ საერთო გადაწყვეტილებების საფუძველზე. სადავო და საკონფლიქტო საკითხებს გადავწყვეტთ მოლაპარაკების გზით.

საქართველოს ეროვნულ–დემოკრატიული პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია და ეროვნული სამართლიანობის პარტია ბრუნდებიან ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში, ხოლო მონარქისტული პარტია და ქრისტიან–დემოკრატთა ახალგაზრდული ასოციაცია – შემოდის ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

1989 წლის 29 ოქტომბერი

ზვიად გამსახურდია
გიორგი ჭანტურია
ირაკლი ქადაგიშვილი
ირინა სარიშვილი
ირაკლი წერეთელი
თემურ სუმბათაშვილი
ირაკლი ბათიაშვილი
ვაჟა ადამია
ნინო რატიშვილი
იასონ ფავლენიშვილი
თემურ ჟორჟოლიანი
გია ხონელიძე
ვაჟა მთავრიშვილი
ვახტანგ ტაღახაძე
თენგიზ შარმანაშვილი
ავთანდილ იმნაძე
ირაკლი კაკაბაძე

საქართველოს დემოკრატიული პარტიის

## განცხადება

1989 წლის 22 ოქტომბერს შედგა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის /დემოკრატებისა/ მეორე პლენარული სხდომა. სხდომამ შეაფასა პარტიის მუშაობა განვლილ პერიოდში. აღინიშნა, რომ მიუხედავად ზოგიერთი გამონაკლისისა, პარტიამ კარგად გაართვა თავი მის წინაშე მდგარ ამოცანებს. დაისახა მომავალი მუშაობის გეგმა.

პლენარული სხდომის მონაწილეთა ხმების უმრავლესობით გადაწყდა, რომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას /დემოკრატებისა/ ეწოდოს **საქართველოს დემოკრატიული პარტია**.

პლენარულმა სხდომამ ჩაიარა საქმიან ვითარებაში. სხდომამ ფარული კენჭისყრით აირჩია საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი 5 კაცის შემადგენლობით: ვაჟა მთავრიშვილი, ვახტანგ ტაღახაძე, თენგიზ შარმანაშვილი მაყვალა ჩახვაშვილი და გიორგი ზუმბაძე.

პარტიის პროგრამასა და წესდებაში ცვლილებები არ მომხდარა.

თბილისი, 1989 წ. 23 ოქტომბერი

## საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წესდება

პრეამბულა

საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა გადავიდა განვითარების ისეთ სტადიაში, რომლის დროსაც აუცილებელი ხდება ეროვნული ძალისხმევათა და საყოველთაო ეროვნული მობილიზაციით შეურიგებელი, უკომპრომისო და მიზანდასახული ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამ თვალსაზრისით მიზნის მისაღწევად განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ერის პოლიტიკურ კონსოლიდაციას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს საქართველოში დღეს არსებული წამყვანი ეროვნულ–პოლიტიკური, დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების შეკავშირებას ერთ ალიანსში, პარიტეტულ საწყისებზე. მხოლოდ საერთო ძალისხმევით მიიღწევა თავისუფალი საქართველო და დამოუკიდებელი საქართველოს, როგორც ისტორიული სუბიექტის, საერთაშორისო არსებობის რეალურ სტრუქტურაში თვითდამკვიდრების გარანტია ეროვნული ერთიანობაა, რამეთუ საქართველოს გაერთიანებით დაიწყო დიად ეროვნულ საქმეთა აღსრულება დავით აღმაშენებელმა და ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის კონსოლიდაციისათვის თავდაუზოგავად იბრძოდა თავისი მოწამებრივი ცხოვრების გზაზე საქართველოს ეროვნული გმირი–მერაბ კოსტავა.

1989 წლის 29 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირზე, იღია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლთან, საყოველთაო სახალხო მანიფესტაციის დროს მომხდარი ეროვნულ– პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების შეთანხმების საფუძველზე მოხდა საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის ერთიანობის რესტავრაცია, რაც ნიშანდობლივი სა წყისია იმ გაერთიანებული თავგანწირული ბრძოლისა, რომელსაც გასწევს ქართველი ერი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. თავისუფლება არსებობის უზენაესი მდგომარეობაა, რომლის მოპოვება იწყება უაღრესად რაინდული და ზნეობრივი ცხოვრებით და საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ფაზაში გადასული საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე უზრუნველყოფს მორალურ–ეთიკური კრიტერიუმებით და პრინციპებით განსაზღვრულ მოქმედებას.

ძირითადი ნაწილი

მუხლი პირველი – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი ... ეროვნულ–დემოკრატიულ პარტიათა და ორგანიზაციათა ... ნებაყოფლობითი და დემოკრატიული ერთიანობა.

მუხლი მეორე – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში ერთიანდებიან ის პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც, როგორც შეიარაღებული აგრესიის უშუალო შედეგს, არ ცნობენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და სახელმწიფო წყობილების არსებობის, საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპირებული იმპერიის, ე. წ. სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნის კანონიერებას და მიზნად ისახავს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, საქართველოში დემოკრატიული მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას.

მუხლი მესამე – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი მოქმედებს თანასწორუფლებიანობისა და ერთხმიანობის პრინციპებით.

მუხლი მეოთხე – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში მიიღებიან ის პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ თავიანთი ჩამოყალიბებული სახე და ... მოაწერენ თავიანთ წესდებასა და პროგრამას.

მუხლი მეხუთე – ყოველი პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში წარმოდგენილია არა უმეტეს სამი წევრით.

მუხლი მეექვსე – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი პარტია და ორგანიზაცია ინარჩუნებს სრულ ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას და უფლებამოსილია იმოქმედოს დამოუკიდებლად საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტისაგან, თუ არ მოხერხდა საერთო შეთანხმების მიღწევა ამა თუ იმ საკითხზე.

მუხლი მეშვიდე – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი პარტიებისა და ორგანიზაციების საერთო შეთანხმების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების ... სავალდებულოა ყველა წევრ პარტიისა თუ ორგანიზაციისათვის.

მუხლი მერვე – ზნეობრივი პრინციპების მკაცრი დაცვით ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალ ნებისმიერ პარტიასა და ორგანიზაციას შეუძლია გააკრიტიკოს საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი სხვა პარტიებისა და ორგანიზაციების დამოუკიდებელება ამა თუ იმ საკითხისადმი.

მუხლი მეცხრე – საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტიდან გასვლა ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციისათვის თავისუფალია.

მუხლი მეათე – ხმათა უმრავლესობით საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტიდან მასში შემავალი რომელიმე პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის გაყვანა აკრძალულია.

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი:

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია:
1. ირაკლი წერეთელი
2. თემურაზ სუმბათაშვილი
3. თორნიკე ფიფია.

წმინდა იღია მართლის საზოგაოება;
4. ირაკლი ბათიაშვილი
5. ვაჟა ადამია
6. გურამ გოგბაიძე.

საქართველოს ჰელსინკის კავშირი
7. ზვიად გამსახურდია
8. ავთანდილ რცხილაძე
9. თემურ ქორიძე.

საქართველოს ეროვნულ–დემოკრატიული პარტია:
10. გიორგი ჭანტურია
11. ირინა სარიშვილი
13. ირაკლი ბადაგიშვილი.

ეროვნული სამართლიანობის პარტია.
13. ირაკლი შენგელაია
14. ირაკლი მელაშვილი
15. ზაზა ზამთარაძე.

მონარქისტული პარტია:
16. თემურ ჟორჟოლიანი
17. იასონ ფავლენიშვილი
18. გია ხონელიძე.

საქართველოს დემოკრატიული პარტია:
19. ვაჟა მთავრიშვილი
20. ვახტანგ ტაღახაძე
21. თენგიზ შარმანაშვილი.

ქრისტიან–დემოკრატიული ასოციაცია:
22. ირაკლი კაკაბაძე
23. შალვა ვასაძე
24. დათო გამყრელიძე.

საქართველოს ეროვნული ღირსების კავშირი:
25. თენგიზ დიხამინჯია
26. გიზო კორძაძე
27. ჯუმბერ ხუნდაძე.

ჩეჩენო–ინგუშეთის სახალხო ფრონტის თავჯდომარის ხ.ა. ბისულთანოვის წინააღმდეგ უკანონოდ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ა.წ. 4 ოქტომბერს ქ. გროზნოში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ხ. ბისულთანოვის დაპატიმრება არის პროვოკაცია, რომელიც მიზნად ისახავს ჩეჩენი და ინგუში ხალხის დისკრედიტაციას, მათ გამოწვევას და ექსცესების პროვოცირებას. მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს ხ.ა. ბისულთანოვისა და არაფორმალური მოძრაობის სხვა ლიდერების დევნა–შევიწროების შეწყვეტა.

საქართველოს დემოკრატიული პარტია სოლიდარობას უცხადებს ჩეჩნებისა და ინგუშების სამართლიან ბრძოლას!

# საითკენ მივდივართ?!

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ღრმისდღეისობით წარმოადგენილია არაერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციით, რომელთა საბოლოო მიზანია სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. სტრატეგიული მიზნის ერთიანობის მიუხედავად, ამ ორგანიზაციებს გააჩნიათ ერთმანეთისაგან გახსხვავებული ტაქტიკური პლატფორმები, რაც, რა თქმა უნდა, ბუნებრივი მოვლენაა, ვინაიდან არც ერთ მათგანს არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია უშეცდომო წიახასწარმეტყველის როლზე. რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს ტაქტიკური პლატფორმის სისწორე, თუ ის დღისდღეობით კონცეპტუალური ხასიათის ერთი შესაძლო სამოქმედო გაგმაა მარტომარტო და მისი პრაქტიკული ვარგისიანობის დასაბუთება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მომავალში. სანამ ამ საკითხზე ვიმსჯელებდეთ, გვსურს შეგახსენოთ ერთი მცნების შინაარსობრივი დაკვირვება, რომელიც ცნობილია ფილოსოფიაში, როგორც "ოიდიპოსის ეფექტი". ეს მცნება აღნიშნავს პიროვნების, ან მათი ჯგუფის მიერ აკვიატებული, აპრიორულად მიღებული აზრის ცხოვრებაში გატარების ჯიუტ მცდელობას, მაშინ როდესაც მისი პრაქტიკულად განხორციელებისათვის არაა შექმნილი ობიექტური პირობები.

ამ ცნების მნიშვნელობა მომდინარეობს მითოლოგიური მეფე-ოიდიპოსის და მისი ოჯახის ტრაგიკული ბედი - დას გახსოვთ ალბათ, რომ ბოშა ქალმა ოიდიპოსის მამას ეუბნება სიკვდილი საკუთარი შვილის ხელით. ლაიოსს შეეძლო გასცლოდა ამ ბედს, მაგრამ მან იმ აკვიატებული ნაბიჯებით წარმოქმნა ცხოვრების გზის გათვალისწინებით ხარკარდა თავისი მომავალი და თუ რა ტრაგიკულ შეღებებამდე მივიდა პირადად მისი და მისი ოჯახის წევრების ბედისწერა, ეს ყველასათვის ცნობილია.

ასევეა იმ შემთხვევაშიც, როდესაც რაღაცა მიზეზების გამო, ჩვენ ვერ გამოვდივართ ერთხელ აკვიატებული მცდარი აზრის მარწუხებიდან, ბოლომდე ვრჩებით მისი ერთგული და ჩვენი პრაქტიკული საქმიანობით ვეწინააღმდეგებით პროცესების ობიექტურ მსვლელობას. პოლიტიკას საქმე აქვს მომავალთან. ამ სფეროში ჩართულ სუბიექტებს /კერძო პირებს თუ ორგანიზაციებს/ საკუთარი და ერთმანეთისაგან საპირისპირო შეხედულებები შეიძლება ჰქონდეთ ამ მომავალზე, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საფუძველი მათი უკომპრომისო დაპირისპირებისა, თუ ისინი ერთ საქმის ემსახურებიან. პოლიტიკაში ზოგჯერ აუცილებელიცაა და მისაღებიც კომპრომისი. კომპრომისი კი შესაძლებელია, თუკი ამისათვის არის შესაბამისი ურთიერთდამაწუნებელი არგუმენტაცია და პირობები.

ჩვენის აზრით, დღისდღეობით საქართველოში მოქმედი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციები იმყოფებიან სწორედ "ოიდიპოსის ეფექტის" მსგავსი ეფექტის ქვეშ. ზოგიერთ მათგანს არ სურს ურთიერთის მოსმენა და პოლიტიკური დიალოგი. აკვიატებული აზრით წარმართავენ თავიანთ საქმიანობას და გაორიცხავენ შეხების წერტილების ძიებას საერთო პოლიტიკური მიმართულების გამომუშავების საქმეში. ეს რომ გამოირიცხოს, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას საერთო რესპუბლიკური კონფერენციის ჩატარებისაკენ. დაე, თვითეული ორგანიზაცია გამოცხადდეს ამ კონფერენციაზე თავისი პლატფორმით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვანვითარების შემოგომი გზების შესახებ და საბოლოოდ გაირკვეს ის კომპრომისული ვარიანტი, რომელიც სანუკვარ მიზანთან მიიყვანს საქართველოს. კონფერენცია ჩვენ წარმოგვიდგენია როგორც ეროვნული სათაობირის ჩანასახი, რომელიც იმუშავებს ფართო პოლიტიკური აზროვნების გამოყენების საფუძველზე და საბოლოოდ დაეყრდნობა არა ვინმეს მიერ აკვიატებულ აზრს, არამედ იმ კომპრომისულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისაღები იქნება მთლიანად ეროვნული მოძრაობისათვის.

ეხლა კი იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლებიც საჭიროა ტაქტიკური პლატფორმის სისწორის დასადასტურებლად /რა თქმა უნდა, აქ ჩვენს აზრს გამოვხატავთ და სრულებითაც არ მიგვაჩნია იგი საბოლოო შეშმარიტებად უკანასკნელ ინსტანციაში/.

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ საერთოდ შეუძლებელია სოციალური, ნაციონალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივი პროცესების გრძელვადიანი პროგნოზირება, ანუ, ისტორიის განჭვრეტა. იმავე დროს საჭიროდ ვთვლით მოკლევადიანი პროგნოზის შესაძლებლობას, ვინაიდან ასეთი პროგნოზით დანახული ტენდენციები უკვე დღევანდელ დღეშია ფესვმოკიდებული და შეიძლება მისი დანახვა დღევანდელი დღის გადასახედიდან. რა თქმა უნდა, მოვლენების პრაქტიკული ვანვითარების დიაპაზონი შეიძლება იყოს უფრო სხვანაირი და სხვა სიმკვეთრის, ვიგრამ ვთვლით, რომ მომავლის რაღაც ტენდენციები ჩვენს მიერ აღმოჩენაც შეიძლება იქნეს დანახული მეცნიერული შესაძლებლობით. სხვა მისაღები კრიტერიუმი ამგვარი ხასიათის თეორიული კონცეფციების დასადასტურებლად აღბათ არ არსებობს და აქედან გამომდინარე არ ვთვლით საჭიროდ უფრო დეტალურად ამ საკითხზე შეჩერებას.

**თუ ამ ლოგიკურ აპარატს მოვიმარჯვებთ და გავხედავთ ისტორიულ მომავალს მოკლევადიანი პროგნოზის ფარგლებში, დავინახავთ, რომ დღისდღეობით არაა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა, ვიდრე მომავალ წელს დანიშნული არჩევნებისადმი დამოკიდებულება.**

ამას შეგნებულად თუ ინტუიციით მეტნაკლები ხარისხით გრძნობს ყველა დღისდღეობით მომქმედი პოლიტიკური ორგანიზაცია და ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა არჩევნებისადმი დამოკიდებულების სამი ძირითადი პლატფორმა:

პირველი - მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში;

მეორე - საბჭოთა არჩევნების პასიური ბოიკოტი;

მესამე - საბჭოთა არჩევნების აქტიური ბოიკოტი ალტერნატიული არჩევნების ჩატარებით.

სამივე ამ პლატფორმას ყავს თავისი მომხრეები და აქვს შესაბამისი არგუმენტაციაც, რომელიც, ჩვენი აზრით მთელი სიგრძე-სიგანით უნდა იქნეს განხილული სწორედ იმ კონფერენციაზე, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

საქართველოს დემოკრატიული პარტია მიესალმება არჩევნების ბოიკოტის მესამე ვარიანტს. გვაქვს შესაბამისი პოლიტიკური არგუმენტაციაც, მაგრამ ამაზე საუბარი მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონფერენციაზე. ერას კი აუცილებლად ავღნიშნავთ, რომ როდესაც მხარს ვუჭერთ ალტერნატიული არჩევნების ვარიანტს, იმედი გვაქვს საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური გაცნობიერებისა და მისი საჭირო დონისა. პოლიტიკური და სოციალური აქტივობისა და გაცნობიერების რეალური დონის გარკვევა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების შედეგებით და არა რაიმე აპრიორული დასაბუთებით. ამიტომაცაა, რომ ჩვენს მოვალეობად ვთვლით შევთავაზოთ საქართველოს მოსახლეობას თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. თუ რა შედეგებამდე მიგვიყვანს არჩევნები, შემზადებულია თუ არა საქართველოს მოსახლეობა ასეთი ფართო და ღრმა პოლიტიკური აქციისათვის, ამას დაადასტურებს არჩევნების საბოლოო შედეგები. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვალდებულნი ვართ გამოვიყენოთ სოციალური სისტემის სტრუქტურული გარდაქმნის ეს შესაძლებლობაც.

თუ ახლო მომავალში პოლიტიკური პროცესები განვითარდა არა იმ მიმართულებით, რაზედაც ლაპარაკი გვქონდა ზემოთ და ალტერნატიული არჩევნების იდეამ არ გამოიღო მოსალოდნელი შედეგები, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განთავისუფლების ერთადერთ გზას ვთვლით არსებული უნიტარული სისტემის თვითდემონტაჟს, რომელშიაც პრიორიტეტული როლი უნდა ითამაშოს სისტემის ეკონომიკური ქვესისტემის დემონტაჟმა.

როდესაც ჩვენს ყურადღებას ვამახვილებთ სისტემის თვითდემონტაჟზე, მხედველობაში გვაქვს მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების ღრესდღეობით დაფიქსირებული მიმართულება ეკონომიკაში. ესაა უპირველესყოვლისა ადამიანის გაუცხოვება წარმოების საშუალებებისაგან /და წარმოებისაგან/ და მომხმარებლური ტიპის "ჰომო საპიენსის" ჩამოყალიბება და მომრავლება მწარმოებელი ტიპის საპირისპიროდ. ნებისმიერი საზოგადოება, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად თავის ცხოვრების წესს დააფუძნებს ამგვარი სახის ორიენტირებს, საბოლოო ჯამში გახწირულია დასაღუპავად. ამავე დროს, ხაზგასმით აღსანიშნავია ის, რომ ოფიციალური "მესიანური" იდეოლოგია ვერაა განწყობილი დაღებითად იმ სტრუქტურული ცვლილებებისადმი, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეულწილად შეაკავონ არსებული სისტემის გამანადგურებელი რღვევის პროცესები. ბუნებრივად შეუთავსებელია ერთმმართველი ხელისუფლების "მესიანური" იდეოლოგიისა და შეშმარიტი ეკონომიკის თანაარსებობა. ამიტომ, პირველის შენარჩუნების ცდები აუცილებლად გამოიწვევს მეორის რღვევას. ერთადერთი შედეგი კი ასეთი დაპირისპირებისა შეიძლება იყოს მხოლოდდამხოლოდ არსებული სისტემის ეკონომიკური ქვესტრუქტურის გამანადგურებელი თვითდემონტაჟი.

ჩვენი კონცეფციიდან გამომდინარე, ალტერნატიული არჩევნები გამიზნულია სწორედ იქითკენ, რომ უკვე დღესდღეობით მოხდეს სოციალური სისტემის რადიკალური სტრუქტურული ცვლილებები და გამორიცხული იქნეს მომავალში ის გამანადგურებელი თვითდემონტაჟი, რომელმაც რესპუბლიკის მოსახლეობა შეიძლება ჩააგდოს ისეთ ღრმა და გამოუვალ ეკონომიკურ "ჭაობში", საიდანაც თავის დაძვრენისათვის საჭირო შეიქმნება უფრო მეტი სოციალური და სულიერი ენერგიის ხარჯვა, უფრო მძიმე და ღრმა მატერიალური გაჭირვების გადატანა.

არჩევანი საქართველოს მოსახლეობის მხარეზეა!

ჩვენ გვწამს ქართველი ხალხის პოლიტიკური აზროვნების ქმედითობისა და მისი სიბრძნისა!

დღესდღეობით კი მივმართავთ ყველა მომქმედ საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციას:

ა/ დროა განვითარების სტიქიური ეტაპიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გადავიყვანოთ შეგნებულ და მართვად ეტაპზე;

ბ/ ამისათვის საჭიროდ ვთვლით, რომ თითოეულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ შეიმუშაოს ისტორიული განვითარების თავისი კონცეფცია და პარტიული დოკუმენტები /წესდება, პროგრამა და ცალკეული საკითხების გადაწყვეტის პლატფორმები/; საჭიროა პროფესიული პოლიტიკური მოღვაწეობის დამკვიდრება, რომელიც, როგორც ცნობილია, ფუნქციონირებს თავისი სპეციფიკური კანონებითა და წესით. უნდა ჩამოირიცხოს ამბიციურობა და უსაგნო დაპირისპირება. მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს მხოლოდდამხოლოდ მართალ პოზიციას და არა რომელიღაც პიროვნებას.

გ/ საჭიროა დავამკვიდროთ პოლიტიკური დიალოგის პრაქტიკა ცალკეულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის. პოლიტიკა გულისხმობს პოლიტიკურ კომპრომისებსაც, ვინაიდან არც ერთ ორგანიზაციას არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია იმისა, რომ იგი ღაპარაკობს მთელი მოსახლეობის სახელით.

დ/ დღესდღეობით უმნიშვნელოვანესი საკითხებია: საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან დამოკიდებულების საკითხი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტაქტიკური პლატფორმა მოცემულ ეტაპზე და მომავალ წელს დანიშნული საბჭოთა არჩევნებისადმი დამოკიდებულება.

იმედი გვაქვს, რომ ცალკეული ოპოზიციური ორგანიზაციები პირველ რიგში შეიმუშავებენ შესაბამის პლატფორმებს სწორედ ამ საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტასთან დაკავშირებით და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საერთო კონფერენციაში.

დაიმუშავა მნათეელი სდკ

## საქართველოს დემოკრატ მასწავლებელთა კავშირის მიმართვა მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლებისადმი

### მ ა მ უ ღ ი შ ვ ი ე ნ ო !

საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა ბოლო ხანს აღმავლობას განიცდის. ამ მოვლენის ფონზე, ერთის მხრივ, სრულიად თვალნათლია წარსულის ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების რადიკალური გადაფასების ტენდენციები, მთელი ერის, ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში საერთო საკაცობრიო დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების აუცილებლობა, მეორეს მხრივ პარტოკრატიული აპარატისა და ადმინისტრაციულ დიქტატს დაყრდნობილი კორუმპირებული მმართველობის დაუფარავი წინააღმდეგობა თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთების ჩახშობისა და რეაქციული, კომუნისტური იდეოლოგიის კოსმეტიკური "პერესტროიკით" მიმნდობი ადამიანების მასიური დამორჩილებით ამგვარი მზაკვრული პოლიტიკა უპირველესად საბჭოურ სკოლაში ჰპოვებს დასაყრდენს კარიერისტ და მორჩილებაშეჩვეულ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. ჩერნენკოსეული "რეფორმისა" და გორბაჩოვის "ეროვნული სკოლის პროგრამების" შემუშავების მყვირალა კამპანიის ფონზე ჩვენი მოსწავლეები და მასწავლებლები ისევ რჩებიან ცკ-ს მრავალსაფეხურიანი დიქტატის ქვეშ, ისევ იდევნება თანამედროვე, პროგრესული პოზიციის მქონე ახალგაზროობა.

საქართველოს დემოკრატ მასწავლებელთა კავშირი აერთიანებს მოსწავლე ახალგაზრდობასა და განათლების მუშაკთა იმ ნაწილს, რომლისთვისაც ძვირფასია შეშმარიტად ეროვნული იდეალები, თავისუფლებისა და დემოკრატიის მარადიული ღირებულებანი, იღწვის თავისუფალი პროფკავშირების შექმნისათვის, ხელს უწყობს ეროვნულ-პოლიტიკურ გაერთიანებებთან სკოლის თანამშრომლობას, მოქმედების კოორდინაციას დღევანდელ პოლიტიკურ-სოციალურ ვითარებაში.

მ ო გ ი წ ო დ ე ბ თ:

I. კომუნისტური რეჟიმის მიერ თავსმოხვეული საგნის დაწყებითი სამხედრო მომზადების ბოიკოტისაკენ - მისი სასწავლო პროგრამიდან ამოღების მიზნით.

2. პიონერული, კომკავშირული და სკკპ პირველადი ორგანიზაციების არჩევნების ბოიკოტისაკენ - მათი სრული გაუქმების მიზნით.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებებში საარჩევნო-საარგიტაციო უბნების მოწყობის ბოიკოტისაკენ - საბჭოური არჩევნების საერთო ბოიკოტისა და ეროვნული სათაობიროს არჩევნების ხელშეწყობის მიზნით, რაც იქნება ჩვენი თანადგომის დემონსტრირება იმ ოპოზიციური ძალებისადმი, რომელთა მიზანია საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა.

ჩვენთან არს ღმერთი!

საქართველოს დემოკრატ მასწავლებელთა კავშირის სახელით:

კარლო ბარდაველიძე 37.07.56

გიორგი გოდერძიშვილი 95.67.27

გაზეთი მოამზადეს: მაყვალა ჩახვაშვილმა, ვახტანგ ტაბახაძემ, თენგიზ შარმანაშვილმა, გიორგი ზუმბაძემ და ვაჟა მთავრიშვილმა. დაგვირეკეთ: 39-65-77.